ISSN 0132-6015

# ნიანგი

8

გამოცემის, 56-ე წელი, (№ 1546)· აპრილი 1979, ფასი 20 კაპიკი·



ნახ. მ. აბაშიძისა

— რომ გაიძახი, ვუჩივლოთ და მოვიშოროთო, დავაცადოთ, შე კაცო, ცოტა და თვითონვე გადაყვება ჭამას!

ნახ. გ. ფირცხალავასი



— რამხელა გაზრდილა შენი შვილიშვილი! იცოდე, ქორწილი არ გამომაპარო!
— თუ თვითონ არ გამეპარა, არ გამოგაპარებ!

## აზრიანი ფრაზები

● **კუმ** ფეხი გამოყო — მეც იმპორტული ფეხსაცმელი მინდაო.
● **ჭორი** ჩვენი ფეხებით დადის.
● **თევზმა** თქვა: პირი თუ სუფთა წყლით მექნება სავსე, სათქმელი არაფერი მექნებაო.
● **იქნებ** დადგა დრო ჯერ სათადარიგო ნაწილები ვიყიდოთ და მერე — ავტომანქანა?!

## სასარგებლო რჩევები

● **ეცადე,** მუდამ ფეხით იარო! უმანქანოდ გვიან მიხვალ საიქიომდე!
● **გათხოვებას** ელოდე, მაგრამ არა — გულხელდაკრეფილი!
● **რიგი** თუ დაინახე, ნუ დაკარგავ, უცებ დაიკავე და მერე გაარკვიე, რას ყიდიან და რამდენს!

**გიგლა გახტაძე**

# ძალა ცნობისმოყვარეობისა!

**ყველა** დროის უმამაცესი ადამიანი, დიდება და გვირგვინი რაინდობისა, რისხვა და გრგვინვა ყველანაირი უსამართლობისა — დონ კიხოტ ლამანჩელი — ასე არიგებდა თავის საჭურველმტვირთველს, მარადარიის გუბერნატორად დანიშნულ სანჩო პანსას: **„... ბაზრები, საყასბოები ინახულე ხოლმე; ამ ადგილებში უფროსის გამოჩენა მეტად დიდმნიშვნელოვანი საქმეა“.**

ჩვენც ოთხმოცი როსინანტის სიმძლავრის ავტომანქანას შემოვაჯექით და კურსი აღმოსავლეთისკენ ავიღეთ. თავისი დამახასიათებელი ხმაურითა და ფუსფუსით შემოგვეგება **მარნეულის ბაზარი.** ყველა მაღაზიას მყიდველი ფუტკარივით ესეოდა, მხოლოდ **რაისამომხმარებლო კავშირის კოოპუნივერმაღის № 2 მაღაზიაში** იყო სიცარიელე (რამეთუ დახლებზეც სიცარიელე სუფევდა).

გამყიდველმა **გულმაია კალაევამ** ჩვენს დანახვაზე, როგორც პარასკევას გამოჩენისას რობინზონმა, გაიხარა. მაღაზიის გამგე რომ მოვიკითხეთ, ტუჩზე მარცხენა ხელი შირმასავით მიიფარა და ყურში ჩაგვიჩურჩულა:

— საწყობშია და ისეთ რამეებს გაჩვენებთ, რაც თქვენს თვალსაც გაახარებს და მის ჯიბესაც ასიამოვნებს!

დიდ არს ძალა ცნობისმოყვარეობისა! საწყობში შევედით, გავიხარეთ და მერე როგორ გავიხარეთ! რაღა არ ნახა ჩვენმა თვალებმა: მამაკაცისა და ბავშვის პოლონური, რუმინული, ბულგარული, უნგრული, გერმანული პერანგები, ქალისა და კაცის უნგრული წარმოების ჯემპრები, ქალის რუმინული წარმოების ჟაკეტები, მამაკაცის ისლანდიური სვიტრები, ბავშვის რუმინული პერანგები და პოლონური შარვლები, ქალის იუგოსლავიური პერანგები, მამაკაცის ჩეხური წარმოების კოსტიუმები, ქალის გერმანული პალტო და ლიფები!.. და, რაც მთავარია, პოლონური ტუში წამწამებისათვის და საღებავი თვალის ქუთუთოებისათვის. ერთი სიტყვით, რა გინდა, სული და გული! ყველა ეს იმპორტული საქონელი რომ გასაყიდად გაეტანათ, იქ კი არა, ბაზრის მთელ სიგრძეზე გაიჭიმებოდა კილომეტრიანი რიგი.

მაღაზიის გამგე **გივი ცოციაშვილი** გაკვირვებული დაჰყურებდა თეთრ ქაღალდზე შავად დაწერილ იმპორტული საქონლის სიას და თვალებს არ უჯერებდა.

— რა სიმდიდრის პატრონი ვყოფილვარ და აქამდე კი არ ვიცოდი!

ძალაუნებურად ბუზების დიალოგი, გაგვახსენდა:

— ადამიანები სულელები არიან! — თქვა ერთმა ბუზმა.

— რატომ? — ჰკითხა მეორემ.

— აკეთებენ ლამაზ ჭერს და ჭუჭყიან იატაკზე დადიან.

დიახ, აქაც ასეა, ვაკეთებთ ლამაზ მაღაზიას და საქონელს ვყიდით ჭუჭყიან საწყობში. ბუზმა არ იცის, რომ ადამიანებს არ შეუძლიათ ჭერზე სიარული, თუმცა ზოგიერთი ისეთ მოლიპულ ჭერზე იწყებს ხშირად ცოცვას, რომ, იქიდან ჩამოვარდნილს, კისერი და კინკრიხო ერთად ტყდება.

მარნეულიდან წამოსულებმა, შემდგომი მარშრუტის შერჩევა ჩვენს რკინის როსინანტს მივანდეთ და მანაც რაღაც ერთ საათში კასპის რაიონის **ოკამის სასურსათო მაღაზიას** მიგვაყენა. შევხედეთ ვიტრინას და ზედ მრგვალი ასომთავრულით წავიკითხეთ ს უ რ - ა თ ი. მაგრამ ვერ დაგვხვდა მაინცდამაინც სასიამოვნო სურათი: შესასვლელ კარებში, გატეხილი მინის მაგივრად, გატეხილი ფანერი ჩაესვათ. საკმაოდ შელახულ, საღებავგადაცლილ ფასადს რკინის ჩარჩოები დაჟანგებოდა და მის სიმშვენიერეს კიდევ უფრო ალამაზებდა ოღროჩოღროდ მიყრილი ცარიელი ყუთები...

არც ოკამის სამრეწველო მაღაზიაში დაგვხვდა კარგი სურათი: აქაც აბრის ასოები ჩამოვარდნილიყო და ზედ მხოლოდ ...წ ვ ე ლ ო იყო შემორჩენილი.

— რასა წველის ეს თქვენი მაღაზია? — გაკვირვებულებმა შევძახეთ მოხუც ოკამელ გლეხს.

— საწველს მაღაზიაში რა გამოლევს, მაგრამ ეს ორი თვეა, დაკეტილია და რას მოწველიან, როცა მეწველი, ცხრაკლიტულში ჰყავთ გამოკეტილი. ნავთის სახსენებელი გაწყდა ჩვენს სოფელში, ჩამოვალ ზემო უბნიდან, დავხედავ კარებზე საცოდავად ჩამომხრჩვალ კლიტეს და ისევ უკან მივდივარ სანავთის ჟღარუნით.

**კასპის საკოლმეურნეო ბაზარში საქბოსტანჯიშთესლის გორის სარაიონთაშორისო განყოფილების სავაჭრო ჯიხურის** დანახვაზე უნებურად დონ კიხოტ ლამანჩელისდროინდელი ფუნდუკი გაგვახსენდა: ჩაბნელებული, ჭუჭყიანი ფანჯრები, შეულებავი, გახუნებული ფიცრის კედლები, სიფრიფანა სახურავით გადახურული ჭერი და საშინაო ტანსაცმელში გამოწყობილი გამყიდველი **გურამ ბერიაშვილი.**

— თქვენს ჯიხურში ოცი დასახელების თესლიდან არც ერთს ფასი არ აწერია, ვის მივაწეროთ ასეთი გულმავიწყობა?!

— მე მომაწერეთ, ამტანი კაცი ვარ, ავიტან!

— თუ სხვა არა, ფანჯრები მაინც გაგეწმინდა...

— მცალია მერე მაგისთვინა? გაზაფხულდა, ხალხნო, თესლი უნდა ქვეყანას, თესლი!

„როსინანტი“ შემოვატრიალეთ და თბილისის გზას გამოვყევით. მოვდიოდით და თან მოგვდევდა მწუხარე სახის რაინდის ბრძნული შეგონება: **„სასტიკად მოეპყარ ყასბებსა და ვაჭრებს, ძალა დაატანე, საქონელი ჯეროვანი წონისა და ზომისა ჰყიდონ!“**

**ვ. კახელიშვილი,**
**ა. გელაშვილი,**
**გ. გახტაძე,**
**შ. ცალუღელაშვილი.**

ნახ. ა. კანდელაკისა



— ნახე, ვეფხვის ტყავის დუბლიონკა აცვია და წერენ, ტიროდაო!

ნახ. გ. ფირცხალავასი



— უნდა გავეყარო, ერთი ხბოს მეტს არ გავაჩენ!..

## „ნიანგის" რედაქცია — დათა თუთაშხიასათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამარჯობა, დათა, შენი!

ალბათ, გემახსოვრები მე, ან მე თუ არა, ჩემი წინაპარი მაინც! — ძიკი ვარ, კვარაცხელია, ჩემო დათა! მეჯოგე იყავი შენ და მეჯოგე ვიყავი მე, ამ დღეებში ვნახე შენი ჯოგი და გაკვირვებას ვარ მე — სულ უცხო ჯიშის ძროხები საიდან შეაგროვე, სატყვიე და აბრაგი რომ არ იყო შენ?! დავაკვირდი მაგათ მე და გეტყვი, რომ არ გამოგადგებიან ისინი შენ: სიარული ვერა აქვთ გამართული და ისეც არ უნდა იყონ დიდი დოვლათი! ხარები კი... ძალლები მყავდა ჯოგში მაგხელა მე! რესპუბლიკის ფარგლებგარედან შემოყვანილი საქონელი მოგიმრავლებია, ბიჭო! სირცხვილია მაგი, გეუბნები მე!

მოდი ჩემთან ჭალადიდში, რიონის პირზე, ან ფიჩორში ვიქნები მე და მოგცემ ჩემი ჯიშის საქონელს შენ!

თუთაშხიავ, ვინ გყავს „ჯიშთაგაერთიანებაში" მასეთი, რომელმაც დაურაიონებელი ჯიშიანი საქონელი იმ სიშორიდან მაგ ტყეში შემოგაყვანინა შენ?! ბევრს ეძებენ ისინიც სხვებისთვისაც კვარაცხელიას ჯიშს, მარა ვერ მივართვი მე! თავიდან ვერ დააფასეთ, ბიძია, და აწი არ იზამს მაგას **ძიკი კვარაცხელია!**

## შეგონებანი

1\. ზოგჯერ სხვის თვალში მცირე ბეწვს ვეძებთ,
ჩვენს თვალში დირეც არ გვიძებნია!
ადვილი არის — „არ მომწონსო!" — იძახო სხვებზე,
სხვებს მოეწონო, — ეს კი ძნელია!

2\. დასცხე, ხელს რაიც გიშლიდეს!
გაჰკარ, გაკვეთე, გადასჭერ!
ერთჯერ სიკვდილის შიშითა,
არ უნდა მოკვდე ათასჯერ!

3\. წინ ბრმად როდესაც გარბიან,
ზოგჯერ იცინის უქნარა!
წინ ჩქარა წასვლა კარგია,
თუ იხედები უკანაც!

4\. კაცს ერთი ქალი გიყვარდეს,
ვით ერთი მზე და ერთი ცა!
თუ, ერთის გარდა, სხვაც გიყვარს,
არ გყვარებია ერთიცა!

5\. ზოგი ჩაგივლის უბრად,
ასჯერ გაცნობილს არა გცნობს!
მე ქუდი მიტომ მხურავს,
რომ მოგიხადოთ, ძმაკაცნო!

6\. ძმას ძმების ერთი დანახვაც
ლხენით გავსებდეს ყელამდის!
ძმასთან თუ ძმურად არა ხარ,
ძმად ვერ გაიხდი ვერავის!

7\. კაცი იყავ, სიდაბლე ნუ გადარდებს,
ქვებს შეხედე, მათი ბედიც რა რთულია! —
ზოგ-ზოგი ქვა ბალავერში ჩამალეს,
ზოგი შვენის კედელს — თერთმეტსართულიანს!

8\. ენას ვამწარებთ უნდილნი,
თორემ თაფლივით ძირი აქვს,
თუ ოქროდ ფასობს დუმილი,
კარგის თქმა ასჯერ ძვირია!

9\. საცოლეს დავეძებთ, ყველაზე უკეთესს,
რომ იყოს ვეფხვი და მართლა მზე!..
ჩვენს თავს რომ შევხედოთ, ამდენი არ გვესმის,
ნაკლებად ვფიქრობთ ამაზე!

10\. თუნდ იყავ დიდი დიდებზეც,
თავი ნუ მოგაქვს დიდად!
ხომ დიდი არის დიდი მზე,
მცირე ღრუბელიც ბინდავს!

ნოდარ შამანაძე

ნახ. ჟ. დეისაძისა



— ეს რა უქნიათ კორფილესათვის?!
— სადაც თავი შეყო, ყველგან საქმე წაახდინა და!..

ნახ. ვ. აბაშიძისა



— დახოცეს ერთმანეთი!.. იქნებ უშველოთ?!
— კაცო, ჩემს იმედზე ხართ?! მე სეირის საყურებლად მოვირბინე!

ნახ. ვ. კუციასი



უსიტყვოდ

# კოლეგები იცინიან

ბელგრადი — ლუბლიანას სარეისო „ბოინგში" ლოყებღაჟღაჟა ახალგაზრდა ქალმა ისე შემოგვთავაზა თავისი საგზალი, თითქოს აგერ, ა, ქუთაისი — ჭიათურის მატარებელში ყოფილიყოს:

— ხომ არ ინებებთ, ბატონო?

— დიდი მადლობა, ნუ წუხდებით, ეს წუთია, ვისაუზმეთ! — ჩვენც იმერული თავპატიჟი გავიდეთ.

აპა, მიირთვითო!

ოჰ, ნუ წუხდებითო!

ისე გავერთეთ, არც იმას ეგონა, რომ ჩვენ სლოვენურად არ ვლაპარაკობდით და არც ჩვენ, რომ იგი ქართულად არ გვეპატიჟებოდა.

რაღა დაგიმალოთ, იმ წუთიდანვე მოვშინაურდით და ლუბლიანაშიც მიჩვეულებივით ჩავედით. ლუბლიანელთა გულგახსნილობამაც შეგვიწყო ხელი, მათმა, საჩვენოდ მომართულმა, ხასიათმა და სულაც არ გაგვკვირვებია, ერთ მშვენიერ, ანუ ნისლიან საღამოს, ქალაქის ბოლოს, საყდრისა და სასაფლაოს გვერდზე მდგარ რესტორან „რუბინში" რომ აღმოვჩნდით.

ჩვენი „ისინდივით" აქაც საქეიფოდ მოდიან თურმე. მაგრამ რაღაც არ ჰგავდნენ დღევანდელი სტუმრები დამწუხრებულ ჭირისუფლებს.

არც ჩვენთვის იყო ეს, სასაფლაოს გვერდითი, ანუ საწუთროს წარმავლობის მანიშნებელი საღამო, სამგლოვიარო.

— „სიკვდილის შეიძლება გეშინოდეს, ან არ გეშინოდეს, იგი მაინც მოვაო", — დავიმშვიდეთ გოეთეს სიტყვებით თავი; „სიბრიყვეა სიკვდილის შიშით სიკვდილიო", — მოვიშველიეთ სენეკა და დროისა და ვითარების შესაფერი ანეკდოტები დაიწყეს მასპინძლებმა.

გორენიელები (გორენია მხარეა იუგოსლავიაში) ხელმომჭირნე ხალხად არიანო ცნობილი, გაგვანდეს. თავიანთ მკვდარს ისე მარხავენ, ორივე ხელს მიწის ზემოთ უტოვებენ — საკუთარ საფლავს თავად მიხედოს და ჭირისუფალს ფული არ დაეხარჯოს მომვლელის დაქირავებაშიო.

ცოტა მორცხვად გაგვეცინა და ახლა სხვამ ითხოვა სიტყვა:

— ერთმა გორენიელმა სტუმრები დაპატიჟა. დაიხარჯა კაცი, ვერაფერში გასწია ეკონომია და მაინც მოახერხა სტუმრებისთვის შეეთვალა: ყველა ერთად მოდით, გეთაყვა, ძაღლმა ცალ-ცალკე რომ არ გიყეფოთო!.. და დამშვიდდა.

— თვითონ რომ დაპატიჟეს მერე სხვის ქორწილში და ყველამ თავ-თავისი ძღვენი დაასახელა — მე ცხვარი მოვიყვანე, მე ციკანი, მე ძროხაო, ამ ჩვენს გორენიელს თავმომწონედ განუცხადებია: მე ჩემი ძმა მოვიყვანეო!

ალალად იცინოდნენ სლოვანიელი ჟურნალისტები და გორენიელებს რომ „გაუსწორდნენ", ჩერნიგორიელებზე გადავიდნენ — ძალიან ზარმაცები არიანო.

— ჰიდროცენტრალს აშენებდნენ თურმე. მუშახელი დასჭირვებიათ ძალიან, სხვა ვერ ეშოვათ და ჩერნიგორიელები მოუწვევიათ. ოთხ სატვირთო მანქანაზე დაუსვამთ და გასდგომიან გზას.

ოთხი დღის შემდეგ ეს ოთხივე მანქანა, ამავე ხალხით დატვირთული (გაუნძრევლად ისხდნენო იმავე ადგილებზე), უკან დაბრუნებულა.

— რაო, აღარ დაგხვდათ სამუშაოო?!

— როგორ არა, მაგრამ არავინ დაგვხვდა, მანქანიდან რომ გადმოვესვითო!

— უარესს გეტყვითო, — დაუმატა სხვამ, — ჩერნიგორიაში საღეჭი რეზინა ჩამოუტანიათ ამერიკული დახმარების ანგარიშში:

— დაღეჭილიაო?

— როგორ გეკადრებათ, რასაკვირველია, არაო.

— უკანვე დაუბრუნეთ ამერიკასო!

ჩერნიგორიელი და ბოსნიელი საუბრობენ მოსავლის აღების თემაზე:

*ბოსნიელი:* — შემოდგომაზე ხის ქვეშ ფარდაგს გავჭიმავთ, ხეს შევარხევთ და ნაყოფი რომ ჩამოცვივა, იმას ვაგროვებთ.

*ჩერნიგორიელი:* — ჩვენც ასე ვშლით ხოლმე ფარდაგს, მაგრამ ხეს ხელს არ ვახლებთ, ქარს ვუცდით. ამოვარდება, ტოტებს შეარხევს, ჩამოცვივა ხილი და ასე ვაგროვებთ.

*ბოსნიელი:* — რომ არ ამოვარდეს ქარი?

*ჩერნიგორიელი:* — მაშინ ვამბობთ, ცუდი მოსავალი იყოო.

გორენიელებს მოუბრუნდნენ ისევ:

— ესენი ფულს შემნახველ სალაროში როგორ წაიღებენო?! ბალიშს გამოტენიან — ღამღამობით საკუთარი ყურით რომ გაიგონონ, როგორ მატულობს პროცენტებიო.

საკუთარ ნაკლზე გულიანად იცინოდნენ და ჩვენც გვაცინებდნენ — თქვენც გეყოლებათ ასეთებიო.

— ჰყავდათო, — კოლეგას გაუსწორა იანეც სტანიჩმა — ლუბლიანის ტელევიზიის კომენტატორმა, რომელიც კარგა ხანს გაზეთ „დელოს" მოსკოველ კორესპონდენტად მუშაობდა.

— იყვნენ მოსკოვის ბაზრებში ამათი თანამემამულენი. ძვირად კი ყიდდნენ, სამაგიეროდ ყვავილი და ხილი ბაზარს არ აკლდაო, — გაიქილიკა ცოტა.

— ამას წინათ დამჭირდა ყვავილი. გამოფენასთან გავედი და აღარავინ დამხვედრიაო ქართველთაგან.

აგაშენა ღმერთმა! მოგვეშვა გულზე! ისე, ნახეთ, რა საერთაშორისო მასშტაბით გვქონია „გავარდნილი სახელი"?!

— არ იყვნენ და თქვენს მაგიერ გამიხარდაო, — გვითხრა იანეც სტანიჩმა, ტელევიზიის კომენტატორმა თბილისს დაძმობილებული ქალაქიდან.

ალთა ბალთიძე

ნახ. ვ. კუციასი



ძროხის ახალი ჯიში რქაწითელი

ნახ. ა. ოქროპირიძისა



უსიტყვოდ

## რწყილი, ჭიანჭველა და ღლევანდელობა

**მეგობრული** ურთიერთობის თემა, რასაკვირველია, ძალზე კარგია და მუდამ თანამედროვეა, მაგრამ ამ მეგობრობის დამტკიცების გზა აშკარად მცდარია. აბა, როგორ უნდა შევასწავლოთ ჩვენს ბავშვებს ნაწარმოები, რომელშიც აშკარად მიტან-მოტანაზეა ლაპარაკი?! თუ მომიტან რკოს, მოგცემ ჯაგარს, და ა. შ. ამიტომ ეს ხარვეზი უნდა გასწორდეს!

მაშ, ასე: თავიდან ყველაფერი ძველებურად რჩება, რწყილის ღორთან მისვლამდე. ღორი გახლავთ „ჯაგართოკმუჟუქკონსერვის" დამზადების საწყობის გამგე. რწყილი მიდის მასთან და სთხოვს ჯაგარს. ღორი უარზეა: ფონდირებულ ჯაგარს ვერ მოგცემო! რწყილი ქრთამს სთავაზობს, რკოს მოგიტანო! პატიოსანი ღორი, მართალია, შეურაცხყოფილია, მაგრამ მაინც შეეცოდება რწყილი, განსაკუთრებით კი — მისი მეგობარი ჭიანჭველა და ფონდირებული ჯაგრის მიღების გზას სთავაზობს:

**1) მიდი სახლმმართველობაში და აიღე ცნობა მუხის ხელმოწერით, რომ შენ ნამდვილად ხარ რწყილი, ცხოვრობ ამა და ამ ქუჩაზე, ამა და ამ ნომერში და მეზობლებს არ აწუხებ!**

**2) მილიციიდან მოიტან ცნობას ყვავის ხელმოწერით, რომ შენ და ჭიანჭველა მართლა მეგობრები ხართ და არ გიჩხუბიათ, თოკი მის დასახრჩობად კი არ გჭირდება, არამედ მის გადასარჩენად!**

**3) მიხვალ მონკავშირში და იქიდან მოიტან ცნობას, რომ იმ რუზე გადასვლის ნება გქონდა და რომ საბრაკონიეროდ კი არ იყავით გასულნი, არამედ — სასეირნოდ. ამას ხელს მოაწერს კრუხი!**

**4) ორმოსგან, რომელიც საალრიცხვო კომიტეტის უფროსია, დაგჭირდება ცნობა, რომ ჯაგრის მიღებაზე დგახარ აღრიცხვაზე ამა და ამ წლიდან!**

**5) მერე თაგვის ხელმოწერით მოიტან ცნობას „ჯაგართოკმუჟუჟკონსერვის" მთავარ სამმართველოდან, რომ შენზე ბაწარი არ ირიცხება!**

**6) სამსახურიდან წამოიღებ დახასიათებას, რომ შენ ნამდვილად მუშაობ ამა და ამ სამსახურში, პირნათლად ასრულებ რწყილის მოვალეობას და რომ შენ გჭირდება ჯაგარი თოკის დასაგრეხად და მეგობარი ჭიანჭველას გადასარჩენად. ამ ცნობას ხელს მოაწერს კატა!**

ყველა ამ ცნობას მიიტან ძროხასთან განცხადებით, რომ გამოგიყონ ერთი ბაწრის დასაგრეხად საკმარისი ფონდირებული ჯაგარი, გამონაკლისის სახით. ძროხა დაგიდებს რეზოლუციას. მოხვალ ჩემთან და გაგატან! რაა ამაზე ადვილი? დაგრეხ ბაწარს და გადაარჩენ შენს ძმობილს, თუ არ დაიხრჩო მანამდე!

რ. ა. კაცია

## მიღება

— მიღება იწყება სამზე,
არავინ წავიდეს სადმე!
ელოდოს, ელოდოს ყველა,
საქმესაც მოვრჩებით ხელად! —

აცხადებს მდივანი ქალი,
ლამაზი (ზედ გრჩება თვალი!).
საათის ისარი მიდის,
როგორღაც ნელა და მშვიდად!..

ორიოდ წუთიღა დარჩა,
ჰა, შესრულდება სამი!..
უეცრად ამბავი გაჩნდა:
— მმართველს ეძახიან წამით!..

მინისტრის მოადგილე უხმობს! —
მიდის მმართველი სხარტად,
სავსე დარბაზი კი მწუხრობს,
დარბაზი დარჩა სახტად!

გავიდა წამიც და წუთიც...
ყველა ოხრავს და უცდის,

რა ქნან, არ არის სხვა გზა,
ვერ დაწერ საჩივრის არზას!

ჰა, აგერ, საათიც გადის,
დარბაზში მატულობს დარდი,
თვლა არ აქვს ბუზღუნს და
ჩოჩქოლს,

კეკლუცობს მდივანი — ოქრო..

თათბირი მიდის და... მიდის!..
ჰა, უკვე ჩამოწვა ბინდი,
მმართველთან კვლავ იცდის ხალხი,
ღელავს და თავს კედელს ახლის,

კედელზე კიდია აბრა,
წარწერით — „მიღება სამზე"!
მართლაც და, თაგვიც კი დახრავს
ყალბ და ცრუფირფიტას ასეთს!

ვლადიმერ ბელაშვილი

ნახ. ჟ. დეისაძისა



უსიტყვოდ

## წყალში არგადასაყრელი აზრები

● **წელიწადის** ყველა დროს შვებულება ერჩია.

● **შეიძლება,** ინტელექტუალური სასწორიც რომ ტყუოდეს?!

● **აქაოდა,** მოკლე ფეხები მაქვსო, ტყუილიც „პლატფორმებზე" წამოსკუპდა.

● **ნეტა,** საფიქრალი მომცა, თორემ შუბლზე თითების შემოდებას რა უნდა?!

● **რამდენი** სკამიცაა, იმდენი აზრი არ არის!

● **საოცარია:** ადამიანობა, ჩვენ, ადამიანებს რატომღა უნდა გვიკვირდეს?!

● **მუოგლების** კისერს ახლა ცოლ-შვილით მოეკიდა.

● **ალვირი,** მგონი, ტელეფონსაც უნდა ამოვდოთ.

● **სტუმარი** თუ ღვთისაა, რატომ თავად არ მასპინძლობს?!

● **თუ** გინდათ, რომ არ გაიყიდოთ, თავს ნუ დაიფასებთ!

● **სწორი** გზიდანაც გადაიჩეხა!

● **ვალი** თუ ვერ გავისტუმრე, ვალმოხდილი ისე ვერ გავხდები?!

● **იმედი** რომ არა, რის იმედად უნდა დავრჩეთ?

● **გაწუხებთ?** ესე იგი — გიყვართ!

ზაზა კაციაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქტორის სვეტი

## უხერხულობის აუღებელი ბარიერი

**ალბათ,** თქვენც შეგიმჩნევიათ, — დგას ადამიანი დახლთან, სალაროსთან, ტაქსის მანქანასთან, ვედრებით შეჰყურებს ტელეოხტატს, ხელოსანს... — უხერხულად იცვლის ფეხს, იმმუშნება, რაღაცის რცხვენია!..

მის მოპირდაპირე მხარეს მდგომნი კი, მდგომარეობის სრული ბატონ-პატრონნი ვეებერთელა აპლომბით უწვდიან ან არ უწვდიან ხურდას, უსახელებენ იმ ფასს, რაც თვითონ ნებავთ! მოკლედ, იქცევიან როგორც მოეხასიათებათ. აქეთ კი დგანან გაუგებარი სირცხვილისგან ჭირის ოფლმოდენილნი, უხერხულობისაგან შებოჭილნი და უსიტყვოდ აკეთებენ იმას, რასაც უბრძანებენ.

ამბავია ფრიად გაუგებარი — დგას ადამიანი და ვიღაცის ან რაღაცის ერიდება, რათა მოითხოვოს თავისი კუთვნილი.

აბა, ერთის წუთით, პირიქით წარმოვიდგინოთ:

— უკაცრავად, მე რამდენიმე კაპიკი მაკლია...

— თუ გაკლია, ტაქსით კი არა, ფეხით უნდა წაბრძანებულიყავი!

— მე არ ვიცი, რაცა ღირს, ის უნდა გადაიხადო!

სწორია ამის მთქმელი? თავისებურად სწორია. მას არ ბოჭავს ის გაურკვეველი მორიდებულობა, რომელიც ხელ-ფეხს, ენას უბორკავს მომხმარებელს.

მაღაზიაში ზორბა ვაჟკაცი მორცხვად არიდებს თვალს სასწორის ისარს, რომელიც თვალსა და ხელსშუა (განსაკუთრებით ხელსშუა!) ტყუის...

— რატომ არ მოითხოვეთ ზუსტი წონა?!

— კარგი, ერთი, თუ ძმა ხარ, მაგის გულისთვის ათ იმდენისას ნერვებს მომიშლიდა...

— თქვენ, ქალბატონო?!

— ლაპარაკის თავი აღარა მაქვს, ან რას იტყვის ხალხი, რომელიც რიგში დგას?!.

ნაცნობი სცენაა? ძალიან. ამგვარად სირცხვილი, რომელიც კაცის სინდის-ნამუსის საწყაოა, უცებ აშკარა ქურდობის თანამოზიარე და ხელშემწყობი ხდება.

რაშია საქმე? სად იმალება ძაღლის თავი?

ბევრგან:

უპირველეს ყოვლისა, ამ საწარმო-დაწესებულებების ხელმძღვანელთა გაუმართლებელ ლიბერალობასა და თვალის არიდებაში. მათ უფრო მკაცრად უნდა მოითხოვონ თანამშრომლებისაგან, დაიცვან მათ სფეროში დაკანონებული ყოველი წესი, დაიცვან ელემენტარული ეტიკეტი!

დანაშაული ჩადენილია. ფაქტი დადასტურდა. შემდეგ?

**„... დამნაშავენი გაფრთხილებულ იქნენ...“**

**„... მიეთითათ...“**

**„... გამოეცხადათ საყვედური...“**

მკითხველი სრულიად სამართლიანად გამოთქვამს უკმაყოფილებას, გაუგებრობისაგან მხრებს იჩეჩავს, ხელებს შლის...

მეორე ძაღლის თავი გულგრილობაშია ჩაფლული. კი, მაყურებელი აღშფოთდება, გამოთქვამს გულისწყრომას და... აქ მთავრდება ყველაფერი.

— რატომ არაფერს ამბობთ, როცა ასეთ უსამართლობას ხედავთ?!

— რა ჩემი საქმეა?!

— ყველამ თავის თავს მიხედოს!

და აქვეა მესამე — ყველაფრის დაუძინებელი მტერი — სკეპტიციზმი.

— მე თუ ჩავერიე, ყველაფერი მაშინვე გამოსწორდება, ხომ იცი!

გამოსწორდება აუცილებლად, თუ ყველა პრინციპულობით, ვაჟკაცობით მოეკიდება ამ საქმეს, თუ გადალახავს იმ „უხერხულობის“ ყოვლადგაუგებარ ზღვარს!

აბა, ვცადოთ!

## ძუნწი

ჰქონდა თვისი, შურდა სხვისი,
რასაც დაინახავდა,
ქვეყანაზე მისი სისხლის
ნათესავი არ ჰყავდა!

ძუნწი იყო, გულხენეში,
დადიოდა მარტოკა,
გამდიდრების წვავდა ცეცხლი,
სულ ოქრო-ვერცხლს ნატრობდა!..

სულ განძეულს სთხოვდა ზეცას,
ვიდრე სულს განუტევდა,
მუქთად სურდა, აბა, ღმერთსა
სანთელს რას აუნთებდა?!

ზეციერმა შეაჩვენა,
უთხრა: „დაგმე სიხარბე,
ანდა, ცხენი გააჭენე,
სანამ ირბენს, იქამდე!

შენი იყოს მიწა, მთები,
გქონდეს კუთვნილ მამულად!“
ძუნწმაც ცხენი გააქროლა,
ველზე გადითქარუნა,

აჭენა და სულ აჭენა,
სანამ თვალი გაუწვდა,
არსად აღარ შეაჩერა
და ცხენს გული გაუსკდა!..

თვით გაიქცა და სირბილი
სურდა ქვეყნის კარამდე.
წამოადგა თავს სიკვდილი,
ჰკითხა: „ირბენ სანამდე?!“

მან კი ქუდი მოისროლა,
გადასწია საზღვარი.
თავს რომ თვლიდა მეფის ტოლად,
იქვე მოკვდა საწყალი.

სიძუნწეს რა ბოლო მოჰყვა,
ყველამ უნდა გაიგოს:
ცხენიც მოკვდა, კაციც მოკვდა,
ქუდიც ქარმა წაიღო!

**ოთარ მამფორია**

## მინიმოთხრობები

— ყოჩაღ! ასე უნდა დედის დაფასება, ყოველთვე 100 მანეთს რომ უგზავნი!

— ეჰ! ეს მისი კი არა, ქორწილებსა და ქელეხებში მისატანი ფულია, ჩასვლას ველარ ვახერხებ!

* * *

— თქვენ რომელი სასწავლებელი გაქვთ დამთავრებული?

— მე, პატივცემულო, მე დავამთავრე ისა... რა ჰქვია?!

— ახლა არ უნდა დახურო კაცმა ის სასწავლებელი?!

* * *

— ხედავ, ცოლმა როგორ შეცვალა კაცი?

— რა გაქვს მხედველობაში?

— „სამანიშვილის დედინაცვალი“ პირველ დღესვე ნახეს, საკუთარი დედა კი ერთი წელია, არ უნახავს!

**გიორგი დონდოლაძე**

**ერთ** საწარმოში კრება მიმდინარეობდა. ჯერ შეკითხვებსა და პასუხებს, მერე კი აზრთა გაცვლა-გამოცვლას ბოლო არ უჩანდა.

დარაჯმა, რომელიც პირველად ესწრებოდა კრებას, ხელი ასწია.

— თქვენ რა წინადადება გაქვთ? — ჰკითხა კრების თავმჯდომარემ.

— დაბლა ჩავალ, ეზოში, ვინმემ რამე არ მოიპაროს!

— ყველანი აქ არიან და ვინ რას მოიპარავს?! — დაამშვიდა ვიღაცამ.

**ალმანზორ თავაძე**

ნახ. რ. გვირჯიშვილისა



უსიტყვოდ











**ლურსმულ-დანურ-ვანდა-ლურ-სკანდალური**

**დამწერლობის ნიმუშები კახეთის ისტორიულ ძეგლებზე**

ალავერდის ტაძარზე:

„სახსოვრად ალავერდს თბილისიდან **სულხან მიტო და ინგა ბუზიაშვილებისაგან“**

„ვიყავით ზნაურის რაიონიდან **გიორგი ჯოხარიძე გიორგი კიკილაშვილი“**

„შილდიდან **თამარ ლომოური კლარა ჯუნაშვილი ჟუჟუნა ლელალუტაშვილი ქეთი მამუკელაშვილი“**

„**ლელიკო არაქელოვი მზია მალიანი** თელავიდან“

„**დალი ტატულაშვილი** ყვარლიდან“

შუამთის მონასტერზე:

„ხაშურიდან **ბეჟან ხარაზიშვილი“**

„ახმეტა **ალე მეგალიშვილი“**

„**უშანგი წელაური“**

**შინაურებს არც „გარეულები“ ჩამორჩებიან:**

«АЛЬБЕРТ»
«ВИКА»
«ПАВЛУША ЧЕРКАСОВ НА МАШИНЕ»

იყალთო, სამების ეკლესიაზე:

„**გიორგი ტაბატაძე** ბორჯომიდან“

„სიღნაღის რაიონი მაღარო **თემური სოზაშვილი“**

„**ზანქაძე მალხაზი** ქისტაურიდან 1977 წელი“

ისევ სტუმრები:

«ЗДЕСЬ БЫЛ ЖЕНЯ. ВОРОНЕЖ 12.9.78»
«СЫЧЕНКОВ САША. ЯКУТСК 78.»

**და მასპინძლები:**
**„ზაური**
**იზოლდი**
**ჟენია“**

317
3 V 79

**„ნიანგს“** ზემოჩამოთვლილი „მამულიშვილებისათვის“ აქვს წერაქვები, პნევმატიკური ჩაქუჩები, სალებავები, საფხეკები!.. ამ საწარმოო იარაღების მისაღებად საჭიროა, ადგილობრივმა ორგანოებმა გადმოაგზავნონ ამ მარჯვენამოუღლელი მოღვაწეების ფოტოსურათები!

აბა, თქვენ იცით, სულხან, მიტო და ინგა ბუზიაშვილებო, ლელიკო არაქელოვო, საშა სიჩენკოვო და მისთანანო, არ გამოგრჩეთ კულტურის არც ერთი ძეგლი შეუბღალავი, ყველგან მიაწერეთ თქვენი, სახელი, რადგან დიდ კონსტანტინე გამსახურდიას უთქვამს — **„ყოველ ნაძირალას გენიოსზე მეტად ახრჩობს უკვდავების წყურვილი!“**

## ჭ ა შ ნ ი კ ი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. დ. ასლანიშვილისა



*— რად გინდოდა, პაპა, ამდენი „მზიური“ რომ გიყიდია?*
*— ეხ, შვილო, ამ სიგარეტში იმდენი შეშაა, მომავალ ზამთარსაც გაგვატარებინებს!*



*— რად უნდა შენს მეზობელს ამდენი წიგნი, სარდაფიდან რომ ამოაქვს?!*
*— მისმა ცოლმა წუხელის ჩეხური წიგნების კარადა იყიდა!*



*— შენი სიმღერა არ მინდა,*
*ყვავო, მხოლოდ ის მითხარი,*
*ყველი რიგით აიღე თუ ურიგოთ?*

### წკიპურტები

უსულოა და უსისხლო,
იმისი თავის
მძულს სიმსხოც!

იქნება, მართლაც,
კატებს ჰგონიათ,
რომ იმათაც აქვთ
კატეგორია?!

ილია აროსია




„ძლივს მარტო დარჩნენ"...




# ამერიკული ჯაშუში

**ახლა** ყველასთვის ცნობილია, რომ [illegible]-ტების მამამთავარმა ბეგინმა და ფსევდოარაბულმა მორბენალმა სადათმა ეგვიპტისა და ისრაელის სეპარატული შეთანხმების ხრიკების მოგონებისათვის ნობელის პრემიები მიიღეს, უფრო სწორად, ვიღაცის კარნახით მიაკუთვნეს.

გადაწყდა: სადათი და ბეგინი შეთანხმდნენ იმაზე, რომ ეგვიპტე ისრაელის ჯარისკაცუნებს „დროებით", ფეხქვეშსათელად დაუტოვებს პალესტინელი არაბების მიწა-წყალს, სამაგიეროდ, სადათელი თავდაცვის მინისტრი ალი ვაშინგტონიდან მიიღებს 2,5 მილიარდ დოლარს, წელს ბავშვის წელიწადია და არ იფიქროთ, საბავშვო ბაღებისა და სკოლების აშენებისათვის უნდოდეს. თვითონ იცის, რა „სასკოლო-სამეცადინო" ბაზებსაც მოაწყობს.

ამერიკული გაზეთი „დეილი ნიუსი" კი სეპარატულ გარიგებასთან დაკავშირებით, სამხედრო პათოსით წერს: მშვიდობისათვის თავგამოდებული ალი შეერთებული შტატებიდან დამატებით მიიღებს 300 ზებგერით თვითმფრინავს „ფაუ-16"-ს, საზენიტო რაკეტებს „ჰოკს", 600 ტანკს, საკმაო რაოდენობის ჯავშანტრანსპორტიორებს, სამხედრო გემებსა და წყალქვეშა ნავებს.

იმისათვის, რომ ეგვიპტე-ისრაელის ხელშეკრულებამ ნაყოფი გამოიღოს და მეორე მხარემ — ისრაელმა — არ დაარღვიოს შეთანხმება, ვაშინგტონელი მაკლერი თელ-ავივს ავიობაზების მშენებლობისთვის უბოძებს სამ მილიარდ დოლარს, 200 ტანკს, 800 ჯავშნოსანტრანსპორტიორს, მრავალ საარტილერიო და რაკეტულ იარაღს.

ახლო აღმოსავლეთის მშვიდობის ვითომდა მესიას — შეერთებულ შტატებს შესანიშნავად გაუზეპირებია დელფოსის ტაძრის ქვის წარწერა: „შეიცან თავი შენი!" და სეპარატულ სტილში გადაუმუშავებია: ეგვიპტელებო და ისრაელნო! რომ შეიცნოთ თავი თქვენი, მე უნდა შეგაიარაღოთ, თუ გინდათ, რომ მშვიდობა სუფევდეს თქვენს შორის!

იქნებ ზოგი ფიქრობს, რომ სადათი და ბეგინი იმიტომ აღიჭურვნენ, რომ აფრიკაში, ან ახლო აღმოსავლეთში ლომებსა და სპილოებს დაერევიან. ეს არავინ არ იცის, არც ის იციან, მომავალში როგორი კარნახით იაზროვნებს ეს ორი პოლიტიკური აქტიორი, რომელთაც ჰოლივუდის ოსკარის დიდი პრიზიც დაშვენდებოდათ.

ახლო აღმოსავლეთის ამ ორ მოღვაწეს სულაც არ აწყობს, რომ დასავლეთ სანაპიროზე შეიქმნას პალესტინის სახელმწიფო; ბეგინს არ უნდა, დაკარგოს პალესტინური ფულის გამოსაწოვი აპარატი, ხოლო სადათს, არაბი ხალხის ღალატის გამო, არ ეპიტნავება დაუსწრებელი სასამართლოდან დასწრებულზე გადასვლა.

აი, სეპარატული შეთანხმების თავი და თავი, სისხლი და ხორცი, ხორცი ხორცთაგანი და ძვალი ძვალთაგანი!

შეერთებულ შტატებს კი თავის ჰუმანიზმის დემონსტრირება ამ სამარცხვინო დაზავებისას იმიტომ დასჭირდა, რომ თავისი იარაღის გასაღების ბაზარი გაეფართოებინა. დიახ, მან იცის, როგორ უნდა აუხილოს „მშვიდობის" თვალი ომისგან დაბრმავებულთ!

**ა. ადიხეი**

მთავარი რედაქტორი ზურაბ გეგეჭკორი (?) [illegible]

მთავარი რედაქტორი ზურლან გემაზაშვილი სარედაქციო კოლეგია: ზ. ბოლქვაძე (მთ. რედ. მოადგილე) ზ. კაციაშვილი, ჯ. ლოლუა, გ. ლომიძე, ნ. მალაზონია (მხატვ. რედ.), გ. ნიჟნიანიძე, გ. სიხარულიძე (პ/მგ. მდივანი), გ. ფირცხალავა, ო. ჭელიძე
● ტექნიკური რედაქტორი მ. კუხალაშვილი, ● სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი". ● თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42,
● საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, გადაეცა ასაწყობად 23/III-79 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 16/IV-79 წ. ქაღალდის ზომა 70×108 1/8 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1.7 ● საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14. ● შეკვ. 914. უე 00700. ტირ. 144.000 Тбилиси, пр. Руставели № 42, Сатирико-юмористический журнал «Нианги», ● Издательство ЦК КП Грузии. ● Типография Издательства ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14.
ტელეფონები: 99-76-69, 93-19-42, 93-10-78, 93-49-32. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

ნახატი თემების ავტორები: მ. აბაშიძე, დ. ახალაშვილი, რ. გვირჯიშვილი, ჯ. ლეისაძე, ვ. ქუცია, გ. ლომიძე, გ. მღებრიშვილი, ნ. ქელეხსაშვილი, ა. ოქროპირიძე, გ. ფირცხალავა.